სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს
სხდომის ოქმი N-5

სოფელი ხიდისთავი 18.11.2024 წ

სხდომის დაწყების დრო: 13.00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ სამეურვეო საბჭოს შემდეგი წევრები:

1. გოგინაშვილი ქეთევან - **სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე;**
2. ჯანგიშერაშვილი მაია - **სამეურვეო საბჭოს მდივანი;**
3. ჯემალ ყველაშვილი-პედაგოგი
4. თამარ ნონიკაშვილი-დაწყებითი საფეხურის მოსწავლის მშობელი;
5. მარიამ კლდიაშვილი-მოსწავლეთა თვითმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე

სხდომას ასევე ესწრებოდა სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის დირექტორი მანანა ჯალაბაძე.

დღის წესრიგი:

1. **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის პირველ სართულზე არსებული 59,64 კვ.მ. ფართის და იქ არსებული ინვენტარის იჯარის ფორმით გაცემის საკითხის განხილვა.**

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა ქეთევან გოგინაშვილმა დააყენა წინადადება დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 5

მოწინააღმდეგე –0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

საკითხი N1. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის პირველ სართულზე არსებული 59,64 კვ.მ. ფართის და იქ არსებული ინვენტარის იჯარის ფორმით გაცემის საკითხის განხილვა.

მომხსენებელი:
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის დირექტორი მანანა ჯალაბაძე.

მოისმინეს: სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის დირექტორის მანანა ჯალაბაძის მოხსენება სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის ძირითადი შენობის პირველ სართულზე მდებარე 59, 64 კვ.მ. ფართის სარგებლობაში მესამე პირისათვის გადაცემის შესახებ. მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საჯარო სკოლების მიერ სკოლის სარგებლობაში არსებული ფართის მესამე პირისთვის გადასაცემად ყველაზე მისაღები ფორმა ფართის იჯარით გაცემაა, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა საჭიროა სამეურვეო საბჭოს თანხმობა. სკოლის განვითარებისა და დამატებითი სახსრების მოსაზიდად კარგი იქნება სკოლის პირველ სართულზე არსებული 59, 64 კვ.მ. იჯარით გაიცეს ერთი წლის ვადით, სასკოლო კვების ობიექტის (ბუფეტის) ფუნქციონირების მიზნით.. მან სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის N410 ბრძანება „სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ და აღნიშნა, რომ მოიჯარე ვალდებული იქნება დაიცვას აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული რეკომენდაციები.

აზრი გამოთქვა: სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა ქეთევან გოგინაშვილმა, მან აღნიშნა, რომ აღნიშნული ფართის იჯარით გაცემა გაზრდის სკოლის ბიუჯეტს.
აზრი გამოთქვა: სამეურვეო საბჭოს წევრმა პედაგოგმა ჯემალ ყველაშვილმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის N410 ბრძანება „სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ ხელს შეუწყობს სასკოლო ბუფეტის ჯანსაღი საკვები პროდუქტებით მომარაგებას.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისათვის.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-5
მოწინააღმდეგე-0

სამეურვეო საბჭომ დაადგინა:

სამეურვეო საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის პირველ სართულზე არსებული 59,66 კვ.მ. ფართი იჯარით გაიცეს სასკოლო კვების ობიექტის (ბუფეტის) ფუნქციონირების მიზნით, ერთი წლის ვადით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდეს.

სხდომის დასრულების დრო: 13:30 სთ.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე: /ქეთევან გოგინაშვილი/

სამეურვეო საბჭოს მდივანი: /მაია ჯანგიშერაშვილი/